ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

საქართველო

ორიათასთხუთმეტი წლის ჩვიდმეტ მარტს, მე, მაია ბრეგვაძეს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ბაზალეთის ქ. №1, მომმართა **შალვა კოხრეიძემ** (დაბ.07.04.1986 სოხუმი, მცხ. სამტრედია რიონის ქუჩა №68, პირადი №37001014798) მან მოითხოვა წინამდებარე მინდობილობის შედგენა და მასზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მე მოვამზადე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები; მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი .თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილიბას:

მინდობილობა

მე, **შალვა კოხრეიძე** (დაბ.07.04.1986 სოხუმი, მცხ. სამტრედია რიონის ქუჩა №68, პირადი №37001014798), როგორც ი.ბ.ა "ფრანცია 2003"-ს თავმჯდომარე ამ მინდობილობით სრულ უფლებამოსილებას ვანიჭებ **თეიმურაზ გიორგობიანს** (დაბ.16.06.1981 თბილისი, პირადი №01023005017) იყოს ჩემი, როგორც ი.ბ.ა "ფრანცია 2003"-ს თავმჯდომარის წარმომადგენელი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, საკადასტრო და სხვა შესაბამის სამსახურებში, აწარმოოს ჩემი, როგორც ი.ბ.ა "ფრანცია 2003"-ს თავმჯდომარის სახელით საქმეები, შეაგროოს, წარადგინოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, ნახაზები, პროექტი, შეიტანოს ყველა სახის განაცხადება და შეუზღუდავად მოაწეროს ხელი ჩემი, როგორც ი.ბ.ა "ფრანცია 2003"-ს თავმჯდომარის სახელით საჭიროებისამებრ სათანადოდ დოკუმენტაციას, რაც დაკავშირებული იქნება ი.ბ.ა "ფრანცია 2003"-ს კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე **ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №23** (ს/კ №01.14.14.005.007) საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის, პროექტის კორექტირებისათვის, აწარმოოს ექსპლუატაციასთან დაკავშირებული პროცედურები და ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ზემოთმითითებული დავალებების შესასრულებლად. მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (საფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა, დღგ 1,80 ლარი, თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 169-ე მუხლით. 2.00 ლარი – რეგისტრაციის საფასური 39-ე მუხლის I-ლი პუნქტისა, სულ გადახდილია: 13,80 ლარი

შალვა კოხრეიძე

ნოტარიუსი მაია ბრეგვაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

74598292705115

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N150256162

რეგისტრაციის თარიღი

17.03.2015 წ

ნოტარიუსი: მაია ბრეგვაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ1
ტელეფონი: 2 29-40-92

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18